სტუდენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად.

ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება

- (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91 ქულა და მეტი;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (Fx) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშ -ნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტიმუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სასწავლო კურსის მაქსიმალურიშეფასებაა 100 ქულა.
შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას.

შუალედური შეფასება წარმოადგენს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული ცოდნის შეფასების მეთოდების/ნაწილების მიხედვით მიღებულ ქულათა ჯამს და განისაზღვრება 60 ქულით.

1. **შუალედური შეფასება** (მაქსიმუმ 60 ქულა) მოიცავს შემდეგ მეთოდებს/ნაწილებს:

ა) საკლასო აქტივობა – 40 ქულა
სტუდენტის აქტიურობის შეფასება ხდება ტესტური წერითი გამოკითხვის საფუძველზე ნებისმიერი 5 სემინარის განმავლობაში. ტესტი შეიცავს 16 MCQ ან სწორია/არასწორია კითხვას. თითოეული სწორი პასუხი ფასდება 0.5 ქულით.

ბ) შუალედური გამოცდა – 20 ქულა
შუალედური გამოცდა ტესტურია. ის შედგება 20 MCQ კითხვისგან. თითო ტესტი ფასდება მაქსიმუმ 1 ქულით.

2) დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა

გამოცდა ტარდება წერითი ფორმით დეპარტამენტში. სტუდენტს მოეთხოვება ლექციებსა და სემინარებზე დამუშავებული მასალა.
ბილეთი შედგება 40 MCQ ტესტისგან. თითო ტესტი ფასდება 1 ქულით.

საგამოცდო შეფასება დადებითია, თუ სტუდენტის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა ტოლია ან აღემატება ოც ქულას (მაქსიმალური შეფასების 50%).

შუალედური და საგამოცდო შეფასების გასაჩივრება სტუდენტს შეუძლია თსსუ-ის სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის პ.20-ის შესაბამისად.

გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, თუ შუალედური შეფასებისა და მინიმალური საგამოცდო შეფასების ჯამით მას შეიძლება შეუგროვდეს 51 და მეტი ქულა.